ს.ს.ი.პ
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"
ბრძანება

02. 03. 09 № 23

(თბილისი)

სტიპენდიის დანიშვნის წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და წარჩინებული სტუდენტებისათვის წამახალისებელი სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის I, II, III და უმაღლესი პროფესიული განათლების I და II კურსის სტუდენტებს, რომლებმაც რექტორის №69 (02.09.2008წ.) ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში (2009 წლის 26 იანვრიდან 14 თებერვლის ჩათვლით) დააგროვეს 91% ან მეტი რეიტინგი, დაენიშნოთ სტიპენდია თვეში 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით.
2. ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტებს, რომლებმაც ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში დააგროვეს 81% ან მეტი რეიტინგი, დაენიშნოთ სტიპენდია თვეში 25 ლარის (ოცდახუთი) ოდენობით.
3. ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული სტიპენდია გაიცემა 2009 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე, 6 კალენდარული თვის განმავლობაში
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოთ ფაკულტეტის დეკანებს.
5. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თავლსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე.

რექტორის მ/შ,
პროფესორი — ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი — ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი — ბ. მაისურაძე